ხაზზე ვივლიდი სულ პირდაპირ,

და ეს სწორი გზა იქნებოდა შენი არჩევანიც
და იძულებაც,

მაკარტის „გზა“ სხვაა, კაცსა და ბავშვს გზაზე
სიარული თუ იძულებით უწევთ, მისი არჩევა
შეუძლიათ. შეუძლიათ მიმართულება მაინც
აიღონ თავად.

სიკვდილი შლის და ანადგურებს ყველაფერს:
სახეებს, სახელებს, წლებს და არც ამ წიგნის
გმირებს სჭირდებათ სახელები ან რაიმე სხვა,
რაც მათ წარსულ სოციალიზაციას ასახავს.

ადამიანური ურთიერთობები მარადიულია,

მარადიულია მშობლებისა და შვილების
სიყვარული.

მარადიულია ისიც, რომ ჩვენ გვჭირდება
ვინმეზე ვიზრუნოთ, რომ „გზა“ არ დაგვკავოთ,

ვინმეზე ზრუნვის, ვინმეზე მეტი ძალის
ფლობის განცდა აძლიერებს.

მაკარტის „გზაში“ მოქმედება აპოკალიფსის
შემდეგ „ნასამყაროებში“ ხდება,

ფაქტობრივად, მთელი რომანის მანძილზე
ერთ ხაზს მივყევით და საჭმლის
მოპოვებაზე, თავის გადარჩენასა და ცუდი
კაცებისაგან თავდაცვაზე ვკითხულობთ,
თუმცა წუთითაც კი ვერ ვდუნდებით და კიდევ
300 ფურცელი რომ იაროს ჩვენმა მამა-
შვილმა, მზად ვართ, გავყვეთ.

იმ მომაკვდავ კაცს რომ დავხედე, მთელი
სხეულით ვგრძნობდი, აზრი არ ჰქონდა,
არანაირ ფიქრს გადარჩენაზე, მაგრამ
თითქმის უკანასკნელ წუთამდე ვნატრობდი
სასწაულს, ბოლოს, ჩემს თავს ვკითხე: რას
ფიქრობ ერთი, რა უნდა მოხდეს, ფეხზე
წამოვდგეს და ხელი ჩამოგართვას თუ რა
გინდა-მეთქი?!

წიგნის ბოლო წუთამდე ვოცნებობდი,
დამთავრებულიყო ეს აპოკალიფსი და სადმე
სამოთხეში აღმოჩენილიყვნენ, თან მთელი
სხეულით ვგრძნობდი, ასე რომ მომხდარიყო,
იმ წუთას დავხურავდი წიგნს და ვიტყოდი,
რომ ეს მაკარტი ცოტა ვერაა.

იმ მკვდარზე გამახსენდა, მამაკაცი
ამბობს: „გვაგინწყდება ის, რაც გვინდა,
რომ გვახსოვდეს და გვახსოვს ის, რისი
დავიწყებაც გვინდა.“

ჰო, ადამიანებს გვამახსოვრდება
დასავიწყებლები,

ადამიანებს ყურებში ის ხმები ჩაგვესმის, რისი
პირველად გაგონებაც კი არ გვინდოდა, არა
თუ გამეორება,

ადამიანები ხშირად იმ სურნელს ვგრძნობთ,
რომელსაც სულაც არ გვინდა, რომ
ვყნოსავდეთ და დილაობით სუნამოებში
ვბანაობთ, ოღონდ ის სუნი ჩამოვირეცხოთ.

ჩემთან ადამიანებს გვასწავლიდნენ რომ
ღვთის შექმნილები ვიყავით, რომ სიკეთე
სულ იმარჯვებდა, რომ როცა ლოყაზე
ვილაცა სილას გაგვარტყამდა, მეორე
უნდა მიგვეშვირა და არავის არასდროს
გახსენებია, რომ ჩვენი ინსტინქტები
გვაიძულებენ თუ მოგვშივდება ყველას
გადავუაროთ, ბავშვები ვჭამოთ ან არ ვიცე,
ათასი სისაძაგლე ვაკეთოთ.

ამაზე მასლოუს პირამიდა გამახსენდა,

გეცოდინებათ, ეს ადამიანთა
მოთხოვნილებების თანმიმდევრობაა,
ყოველი წინა მომდევნოსთან მისასვლელი
გზაა, როცა შენს ფიზიკურ არსებობას
საფრთხე ემუქრება, მაშინ ადამიანური ბუნება
საშუალებას არ გაძლევს მორალზე იფიქრო,

მართალია მასლოუ,

მე მგონია, რომ მართალია.

დედაშვილობის თემაზე ხომ გადატყავებული
გვაქვს ენები ყველას, მაგრამ მამაშვილობაზე
რამდენს უთქვამს, რამდენს დაუწერიხ, აბა,
თუ გაიხსენებთ?

მაკარტმა დაწერა,

მაკარტმა მამა და შვილი

აპოკალიფსიდანცდელ სამყაროში ჩაყარა
და დაგვანახა, რომ ის უხილავი ძაფები
დედებსა და მათ ვაჟებსა თუ ქალიშვილებს

შორის არსებობსო, რომ გვეუბნებოდნენ,
კაცებთანაცაა და გენეტიკას რომ შევეშვათ,
ადამიანს ის უყვარს, რაშიც შრომას ჩადებს,
იქნება ეს შვილი თუ ყვავილი, რომელსაც
ყოველ დილა-საღამოს რწყავს.

მამაჩემი? მამაჩემი ერთი საოცარი კაცია,
ჩახუტება რომ მინდა, ხელს ვერ ვაწვდენ
ხოლმე,

მამაჩემი ის კაცია, მთელი ცხოვრებაა
თანატოლივით რომ აღვიქვამ და არანაირი
თაობების სიშორე რომ არ გვიგრძნია,

მამაჩემი ის კაცია, „გზაში“ რომ ჩემთან
ერთად ყოფილიყო, სულს რომ დამითმობდა,
სულსა და ხორცს, რაც დამჭირდებოდა.

მამებსაც შეუძლიათ თავგანწირვა,

მოგატყუეთ!

წინა წინადადებაში „ც“ აბსოლუტურად
უადგილო იყო.

ვერ ვიტყვი, რომ მაკარტის „გზა“ ის გზაა,
რომ არ შევდგომოდი, ბევრს დამაკლებდა,
მაგრამ ყველა წიგნში არის ქეშმარიტება,

ყველა წიგნი „გზაა“ სხვა გზებთან
მისასვლელი.


პ.ს. მაკარტის „გზამ“ 2007 წელს პულიცერის
პრემია მიიღო. წიგნი ქართულად
გამომცემლობა „პალიტრა L-მა“ გამოსცა და
რაც მთავარია, როგორც ისინი გვპირდებიან,
სერიაში „წლის ბესტსელერი“ სულ ნარჩევ-
ნარჩევ, ნაირფერ წიგნებს შემოგვთავაზებენ.

ეს პირველი „გზა“ და სხვა მრავალი.

აპოლონი და მისი მუზები დიდად
კმაყოფილნი ვართ

მე მუზა ვარ!

ვფიქრობ, მე მკვდრების მეშინია.



დიმიტრი გლუხოვსკი მეტრო 2033

რუსულიდან თარგმნა
ქეთევან ამირეჯიბმა

გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“

დიმიტრი გლუხოვსკის „მეტრო 2033“ – რეცენზია ლაშა დარჩიაშვილი

„მეტრო 2033“ – რა იმალეა ამ სათაურის უკან? ბევრი ადამიანისთვის ეს სათაური მეტროში ქაოსურად მოძრავ ხალხთან და მატარებლების ერთფეროვან გუგუნთან ასოცირდება, თუმცა, ალბათ ვერავინ წარმოიდგენს, რომ ეს იმ დიდი იმპერიის სახელია, რომელიც მიწისქვეშეთში, მოსკოვის მეტროში შეიქმნა მესამე მსოფლიო ომის შემდეგ. ავტორს, დიმიტრი გლუხოვსკის, გამომცემლობების მიერ წიგნის დაწუნების გამო, მოუწია წიგნის ელექტრონული ვერსია ვებ-გვერდიდან უფასოდ გაეცემოდა, რის შემდეგაც „მეტრო 2033“-მა მალევე დაიპყრო მკითხველთა გულები და მოგვიანებით ბესტსელერადაც კი იქცა. სწორედ ეს პოსტ-აპოკალიფსური წიგნი გახდა ჩემთვის პირველი ნაბიჯი ფენტეზის კოლოსალურ და მრავალფეროვან სამყაროში.

იმ პერიოდში, როდესაც ცივილიზაციის განვითარებამ კულმინაციას მიაღწია, ადამიანებს მოუხდათ დაეთმოთ სამყარო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ. ატომური ომის შემდეგ, რომლის დაწყებასაც რუსები ამერიკელებს მიაწერენ, მსოფლიო განადგურდა, დედამიწის ზედაპირზე რადიაციაა, ამიტომ დასახლებების თავიდან ასაცილებლად ხალხმა თავის შეფარება მეტროში გადაწყვიტა, სადაც სასიცოცხლო პირობები მაქსიმალურად შეზღუდულია, სამყარო კი, სადაც თანამედროვე რასა ამ დრომდე ცხოვრობდა, სხვა არსებებმა დაისაკუთრეს. ადამიანები სოროში ჩამძვრალ ვირთხებად იქცნენ, რომლებსაც წასასვლელი უკვე არსად აქვთ. ორმოცდაათი

ათასამდე ადამიანი შეძლო გადარჩენა და გარე სამყაროსგან მოწყვეტილნი, განაგრძობენ მონოტონურ ცხოვრებას მიწისქვეშა სამყაროში. მათ წართმეული აქვთ ალტერნატიული მომავლის ყველანაირი იმედი და ოცნებობენ იმის დაბრუნებაზე, რაც თავისი ხელით გაანადგურეს. მეტროში დაბადებულ ბავშვებს, რომლებიც მხოლოდ სიბნელეს არიან შეჩვეულნი, არ შეუძლიათ წარმოიდგინონ სხვადასხვა ფერად შეღებილი სამყარო, სადაც ხალხი თავისუფლად დასეირნობს მზის სხივებით მოფენილ სივრცეში. არ შეუძლიათ წარმოიდგინონ სავსე მთვარით განათებული ბუნება და კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომელიც უსასრულოდაა გადაჭიმული ჰორიზონტზე. სწორედ მეტროში გაზრდილი ბიჭი – არტიომი გვევლინება მთავარ გმირად, რომელსაც დედამიწაზე დაბადების მიუხედავად, არ ახსოვს არც ზემო სამყარო და არც დედის სახე, რომლის გახსენებასაც გამუდმებით ცდილობს.

ამ წიგნში არ არის ერთი კონკრეტული ანტაგონისტი, უბრალოდ არის მეტრო, რომელიც ხიფათითა და ბარიერებით არის სავსე. მეტროში მცხოვრები ადამიანებისთვის დრო პირობითი ცნებაა, ისევე როგორც ღამე და დღე. აქ ფული ტუალეტის ქალაღდის მაგივრობას წევს და ჩანაცვლებულია ტყვიებით, რომლის გარეშე მეტროში ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. სწორედ ტყვიაა ის მთავარი ატრიბუტი, რის გარეშეც მეტროში ცხოვრება წარმოუდგენელია. აქ ვერ შეხვდებით იმ მრავალფეროვან

ასორტიმენტს, რაც მანამდე არსებობდა, შიმშილის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ სოკო და ღორის ხორცი არსებობს. ადამიანებმა სადგურებზე შექმნეს ღორის ფერმები და ფართო ვაჭრობას აწარმოებენ სხვა სადგურებთან, საიდანაც სოკო თუ სხვა ნაწარმი შემოაქვთ.

ნაწარმოებში ნათლად არის ასახული ის მარადიული დაბრკოლებები, რაც ადამიანის განვითარებას მუდმივად უშლის ხელს და მოიცავს ისეთ სოციალურ საკითხებს, როგორიცაა პოლიტიკა, რელიგია და რასიზმი. მეტრო პერსონაჟების ნაკლებობას არ განიცდის. მას მრავალფეროვნებას მატებს სხვადასხვა რელიგიური სექტები, შიზოფრენიკები, რომლებიც მრწამსს მიწაში ეძებენ, კანიბალები პრიმიტიული იარაღებით და მრავალი უცნაური არსება, რომელთაგან თავის დასაცავადაც უამრავ სადგურს უწევს ბრძოლა.

ადამიანებმა მაინც ვერ ისწავლეს ჭკუა და აგრძელებენ ერთმანეთის ხოცვას, უკვე ნაციზმისა და კომუნიზმის სახელით. ამას კი, ის სისტემა უწყობს ხელს, რომელიც ხალხის სამართავად არის შექმნილი და ხალხიც ძალაუვნებურად ამ სისტემის მსხვერპლი ხდება. გაცოცხლებულია პერიოდი, სადაც წითლები და რაიხი, რომელიც ფართო აგიტაციას ეწევა მთელი მეტროს მასშტაბით, კვლავ ურთიერთდაპირისპირებაში არიან და ერთადერთი, რასაც შეუძლია მათ წინ აღუდგეს, ორდენია. ეს არის იმ ძალების თანამედროვე დაპირისპირება, რომელმაც

რეინკარნაცია განიცადა და თავი იჩინა უკვე ოცადმეერთე საუკუნეში.

მხოლოდ ერთი ნათელი წერტილია ამ სისასტიკითა და ძალადობით სავსე მეტროში – პოლისი. მხოლოდ აქ სუფევს სიმშვიდე, თანამედროვე იერარქია და მხოლოდ აქ ვერ შეხვდებით სისხლმონყურებულ ინკვიზიტორებსა თუ შემოგზავნილ დივერსანტებს. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც განათლება ჯერ კიდევ ფასობს. პოლისი მეტროს გულია, რომელიც მუდმივად ცდილობს მშვიდობა შეინარჩუნოს მეტროში და არ მისცეს საშუალება ფაშისტთა და საბჭოთა გადმონაშთებს, ხელახლა გაიდგან ფესვები.

პოლისი – ეს არის ავანტიურისტი არტიომის დანიშნულების ადგილი, თუმცა აქ მოსახვედრად დიდი გზის გამოვლა უწევს, რის შედეგადაც იცვლება მენტალურად და მისი შეხედულებები უკვე სხვანაირია – „სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი, ბნელი გვირაბი – თითოეულისთვის მოზომილი დრო, რომელიც მან ბრმად უნდა გაიაროს სადგურ „დაბადებიდან“ სადგურ „სიკვდილამდე“. რწმენის მაძიებლები ცდილობენ, ამ გვირაბში იპოვონ გვერდითი გზები, მაგრამ სადგური მხოლოდ ორია და გვირაბებიც შენდება მხოლოდ მათ შესაერთებლად, ამიტომაც გვერდითი გზა არა აქვს“.


წიგნის მთავარი ფაქტორი, ეს არის შიში, რომელიც მკითხველს ყოველთვის კუდში მისდევს და თითოეული გვირაბის გავლისას

ეუფლება. შიში, რომელსაც გვირახში არტიომის თითოეული გადადგმული ნაბიჯი იწვევს და შენც გიწვევს პროტაგონისტივით გაექცე მეტროში დაბუდებულ სიჩუმეს, ხოლო უფრო მეტად კი, ამ სიჩუმის დამრღვევ ნებისმიერ ხმაურს. თუმცა, ყოვლისმომცველ შიშს თან ახლავს ის იმედის სხივი, რომელიც ამ ბინძურ სამყაროში გადარჩენაზე მიგვანიშნებს. ადამიანებს ხომ ჯერ კიდევ შეუძლიათ შეწყვიტონ ძალაუფლების მოპოვების მიზნით წამოწყებული არაფრის მომცემი ომი.

წიგნში რელიგია ერთ-ერთი მთავარი დავის საგნია, რომელიც თავის მხრივ იმედდაკარგული ადამიანების სამართავად გამოყენებული უდიდესი იარაღია. იგი პირველად თავს იჩენს რელიგიურ სექტაში, რომელიც პროტაგონისტს გარკვეულწილად რწმენას შეურყევს, ხოლო შემდგომ, უკვე პრიმატების რიგებში, რომელთათვისაც არსებობის აზრი არაფრისგან შექმნილი კერპია.

აღსანიშნავია ის ფილოსოფიური კონცეფციები, რომელიც „მეტრო 2034“-ში გროვდება და ამ შესანიშნავი ტრიოლოგიიდან უკანასკნელ, „მეტრო 2035“-ში საბოლოოდ იჩენს თავს. დიმიტრი გლუხოვსკიმ შექმნა მომხიბლავი ნარატივი, ფენტეზისა და დისტოპიის ელემენტებით, რომელიც მკითხველს მოწყენის საშუალებას არ მისცემს. საბოლოო ჯამში კი, მეტრო გლუხოვსკისეული ალტერნატიული მომავლის სახით გვევლინება, რომლის

განხორციელებას დღევანდელ რეალობაში უკვე არაფერი უშლის ხელს.



ჩეი აშერი 13 მიზეზი

ინგლისურიდან თარგმნა

აია ბერაიამ

გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“

ჰანა ბეიკერი. გზავნილი საიქიოდან მოლი ბლუმი



დანიელ დეფოს უთქვამს – სილატაკებზე მწარე მხოლოდ მეგობრების გარეშე დარჩენააო. ჰოდა, სადაც ეს, ათასგვარ ჭირვარაში გამობრძმედილი, ქარტეხილგამოვლილი კაცი ასე ფიქრობდა, რა დღეში ჩავარდებოდა ჩვეულებრივი მოზარდი გოგო, ახალ სკოლაში გასვლისთანავე ქორებისა და უღირსი ხრიკების მსხვერპლი რომ აღმოჩნდა?

ჭეი აშერის „ცამეტი მიზეზი“ მტკივნეული წიგნია. აი, კითხულობ და გტკივა... გული ხან გეკუმშება, ხან კი ისე გაწვება ყელში, გეშინია, არ გასკდეს. მოზარდებისთვის წერსო, მაგრამ აქ ვერსად ნახავთ თინეიტერებისთვის ჩვეულ უწყინარ ოინებს, უბრუნველ სიცილ-კისკისს, ლალ და უბრუნველ ბავშვობაზეც არავინ გიამბობთ... ეს ჰანა ბეიკერის გზავნილია საიქიოდან, რომელსაც, მისი სიკვდილის შემდეგ, სუნთქვაშეკრული და თავზარდაცემული ადამიანები უსმენენ, ის ცამეტი ადამიანი, ვისაც ჰანას თავზე ზვავივით დატეხილ უბედურებასთან რაიმე კავშირი აქვს. სხვა გზაც რომ არ დარჩენიათ? არ მოუსმენენ, არ გადაუგზავნიან მომდევნო არამზადას და მათი საქმენი საგმირონის შესახებ მთელი ქალაქი შეიტყობს – ჰანამ უკვე იზრუნა ამაზე.

არა, ყველა ერთნაირად დამნაშავე როდია – ზოგი გულმოდგინედ აკეთებდა თოვლის გუნდას, ერთი პატარა გოგო რომ უნდა ჩაეტანა, ზოგი მონდომებით აშველებდა ხელს – ემანდ, მიმართულება არ შეიცვალოს, სწორად დაგორდესო, ზოგი კი უბრალოდ,

გულხელდაკრეფილი იდგა განზე და ფიქრობდა, რამე ხომ არ გავაკეთო ამ ზვავის შესაჩერებლადო. ჰოდა, ამ ფიქრში ის პატარა გუნდა, სალახანა ჯასტინ ფოლიმ რომ კოხტად მოამრგვალა, ხელში შეათამაშა და თავდაღმართზე დაუშვა, გაიზარდა, გაიზარდა და იმხელა გახდა, ჰანას კი არა, მასზე ბევრად ყოჩაღებსაც გაუჭირდებოდათ გამკლავება. აკი ვერც გაუმკლავდა და ისეთი რამ ჩაიდინა, ხელალებით ვერც სიმხდალეს რომ დაარქმევ და ვერც – სიმამაცეს, ბოლომდე არც ერთი არ არის და იმიტომ – ორივე ურევია.

მოზარდების თვითმკვლელობა – ბოლო ხანებში აქტუალური თემაა და იოლი საქმე არაა, რამე განსხვავებული თქვა ამაზე. ჭეი აშერს კი მართლა ლაზათიანად გამოუვიდა, დამაჯერებლად. გულზე რომ მოგხვდება, ისე.

მე კი ყველაზე მეტად რაზე დამწყდა, იცით, გული? ამ პატარა გოგოს გაზრდა და ნამდვილ გასაჭირთან შეჯახება რომ არ დააცადეს თუ თვითონ არ დააცადა საკუთარ თავს... გაზრდილიყო, რა. ცოტა ფესვები მოემაგრებინა და მერე, თავისნაირი სათუთი და სალოლიაგებელი ბავშვები რომ ეყოლებოდა შინ, იმათი სადარდელი ნამდვილად არ გამოეპარებოდა, იმ აგორებულ თოვლის გუნდას თვითონ დაუხვდებოდა წინ და სხვა გზით გაუშვებდა.

კარგი გოგო იყო ჰანა.

ოღონდ ძალიან პატარა.

და ძალიან მართოსული.



უილიამ ფოლკნერი
აგვისტოს ნათელი

ინგლისურიდან თარგმნა
ზაზა ჭილაძემ

გამომცემლობა „არტანუჯი“



ქრისტემასი, ალაბამა, ჩვენს

ნინო დოფიძე



**All things are nothing.
Tiger Lillies**

**Without love.
Nevl.**

ფოლკლენის შემოქმედებიდან პირველად
„დროშები მტვერში“ წავიკითხე. ყოველ
მომდევნო წაკითხულს რაღაცნაირად მას
ვადარებ და ჯერ ვერც ერთი ვერ შეტოვებია.

„აგვისტოს ნათელი“ კი, ვფიქრობ, ბევრად
უფრო მასშტაბურია თავისი პერსონაჟებითა
და სხვადასხვა ოჯახის ერთნაირად
ტრაგიკული ამბებით. საერთოდაც, აქ
სიცოცხლის, სიყვარულის, ბედნიერების
კვალიც არსადაა. სათაურიდანვე სიკვდილია
ნაგულისხმევი, დიდი და დამღლევი
თვალებით იყურება, თითქოს ცოტაც და
ეს სიკვდილი სიცოცხლესაც მოიტანს,
მაგრამ ღირს კი ან ერთი და ან მეორე, თუკი
შენთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ სხვისი
კეთილგანწყობის მისაღებად გადადგმული
ნაბიჯებია და საკუთარ ბედნიერებას ეს სვლა
მთელი ცხოვრებით გაშორებს?!

სინათლე, როგორც უფლისგან ნაბოძები
ტალანტი და შესაძლებლობა, რომელსაც
ღმერთის სახელითვე კედელს უშენებენ,
მიწაში ფლავენ, მწველი და იმედიანი, მაინც
მთელი ძალით იხედება – შეცდომების,
გადაცდომების, შეცოდებების მიუხედავად.

თბრობისა და წერის სტილზე ბევრს არ
მოგყვები, ეს ფოლკლენია. როგორც თავად
ავტორი თუ უკვე მთარგმნელი ამბობს

არაერთხელ, კაიხელა გზის შემდეგ ცოტა
არ იყოს მოვიწყინე თუ დავითრგუნე და
ბლოკნოტში ჩამინერია: „ქანცი გამაძრო უკვე
ამ აგვისტომ, მომიჭირა თავისი მარწუხები,
მძაფრი და სიკვდილისფერი, ნიავიც კი
ალარ იძვრის, რომ რაიმე ტკობა მოიტანოს.
თითქოს მხოლოდ ერთკაციანი სამყაროა,
ინფანტილური, უინტერესო და საშინლად
ინერციული, როგორც წელიწადის დრო,
რომელიც გებს არ შეიცვლის, ერთი იმდენი
ფოთლები ან თოვლი ჩამოჰყაროს, ან იები
ამოაძვრინოს მიწიდან. ქრისტემას თითქოს
აზროვნება არ შეუძლია (და რა გაგაკეთო,
მისი სახელიც რომ მესიმბოლურება), არც
წინ ან გვერდზე გახედვა. შემდეგ უკვე
თვითონ ქრისტემასი იძლევა პასუხს: „წრე კი
მაინც ვერაფრით გავარღვიეო, – ფიქრობს.
– ვერა და ვერ გავწყვიტე ჩადენილი და
გამოუსწორებელი შედეგების ჯაჭვი“.

წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი ჩემთვის გზაა.
ძალიან სიმბოლურიც და ჩვეულებრივიც:
მტვრიანი, დამღლევი, მისასვლელი. და
ამბავიც ასე იწერება, ვინ როგორ და რა
სისწრაფით ან შეყოვნებით მიემართება,
ტრანსპორტით თუ უტრანსპორტოდ, ცარიელი
და მართოხელა. გზა არ მთავრდება, იწყება
და დასასრული არ აქვს, იქამდე მაინც,
ვიდრე მგზავრი არ შემოკლებია და ჩრდილი,
რომელიც მასაც და ნათელსაც უხვად აქვს.

ასევე ძალიან საინტერესო სურათ-ხატები
და სიმბოლოებია გაბნეული მთელ წიგნში
კლდისა და ეკლესიისა, რასაც ალარ
განვაგრცობ და უბრალოდ ვიგულისხმობ,

როგორც ძალიან მნიშვნელოვანი სათქმელი, რომლის სიღრმეებს ამჯერად ველარ ჩავყვები.

ყველა ის ამბავი, რაც აქ იშლება და რაზეც თვალისა და გულიც მიმიწვდა და რაზედაც საერთოდაც (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით) დაიწერა ეს წიგნი, რაც ყველას ერთნაირად გვაღელვებს და გვახასიათებს, ალაბამა იქნება თუ თუნდაც ხაშური, ძალიან კარგად ჩანს ერთ პასაჟში:

„ზაფხულის ღამეში ომახიანად, მჭექარედ ჟღერს საორღანო მელოდია, ხმაშენწყობილი, მოგუგუნე, ერთდროულად მორჩილიც და ამაღლებულიც, თითქოს გათავისუფლებულ ბგერებს ჯვარცმის ფორმა და სახე აქვთ, და ალტაცებული, დიდებული, გულშიჩამწვდომი მუსიკაც თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრებს. მაგრამ ახლაც კი, ჯერ ისევ დაჰკრავს სიმკაცრის, უღმობელოების, სიცივის რაღაც ელფერი, იმდენად ალტკინებით არ არის სავსე, რამდენადაც თავგანწირვით, ვედრებით, თხოვნით, ოღონდ, არა სიყვარულისა, არა სიცოცხლისა – რამდენადაც, მთელი პროტესტანტული მუსიკის დარად, ერთსაც უკრძალავს ადამიანს და მეორესაც, არამედ სიკვდილისა, თითქოს სიკვდილი მადლი იყოს კაცთათვის. თითქოს ისინი, ვინც სიკვდილს დაჰყაბულდნენ და ვინც მისი ძალა აღიარეს, ვინც ხოტბა შეასხეს და მის სადიდებლადაც აღიმალლეს ხმა, ვინც იმაზე აღიზარდნენ, ვინც იმით ისუღდგმულეს, რასაც სწორედ ამგვარი მუსიკა განადიდებდა, რის

მარადიულ სიმბოლოსაც წარმოადგენდა, ახლა ხოტბისა და ქება-დიდების მეშვეობითვე იძიებენ შურს თავიანთ აღმზრდელსა და მასუღდგმულებელზე. უსმენს და ჰგონია, ამ ხმებში საკუთარი ისტორიის, საკუთარი მიწის, საკუთარი სისხლის აპოთეოზიც ესმის: მისი გამჩენი, მის ირგვლივ მცხოვრები ხალხისა, ვისაც უხმაუროდ და უაყალმაყალოდ არც შეგუება შესძლებია ოდესმე სიამოვნებასა თუ უბედურებასთან და არც რომელიმესთვის თავის არიდება. თითქოს ვერც ვერაფრით შეჰგუებიან, ვერც ვერაფრით აუტანიათ სიამოვნება თუ ალტაცება: საშველს სისასტიკეში, სასმელში, ჩხუბსა და ლოცვაში ეძიებენ ხოლმე; უბედურებაც ასეა, ისიც გარდაუვალ სისასტიკეში უნდა გადაიზარდოს მუდამ: ჰოდა, განა საკვირველია, ბოლოს და ბოლოს, მათი რელიგიაც ერთიმეორის ჯვარცმამდე თუ მიდის“.



დანიელ ჰენაკი
სკოლის
სევდა

დიოგენე

დანიელ ჰენაკი სკოლის სევდა

ფრანგულიდან თარგმნა

მერაბ ფიფიაშვილი

გამომცემლობა „დიოგენე“

დანIEL პენაკი – „სკოლის სევდა“

ანუ ამავე გაბრუნებული მერცხლებისა

სოფიო მანთაშაშვილი



მაისის ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, უდიდესი დღეა.

უნივერსიტეტში ვარ 9 საათიდან. ილუზიაც არ მაქვს, რომ დღეს რამე კარგი მოხდება – თქვენ ხომ არ იცით, რა მოსდევს ხოლმე სისხამ დილით ჩემი ადგომის, უფრო სწორად საწოლიდან გადმოვარდნისა და ფეხის მძიმედ დაშავების გულისამაჩუყებელ ცერემონიას. სულ მცირე- საშინელი მოთენთილობა, გულისგამაწვრილებელი მთქნარება (რომელსაც დასასრული არ უჩანს), ლექციებზე ჯდომა კუნძის მდგომარეობაში (არ ვაჭარბებ) და ძილის აუტანელი სურვილი (მერხზე გაშოტვა ცოტათი შველის). მოკლედ, ეს დღე ერთ-ერთი იმ უიღბლოთაგანია, „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი რომ დამრჩა“.

უკვე რამდენიმე საათია გადაბმულად ვუსმენ მონოლოგს ანტიკური ტრაგედიის არსის შესახებ (ესლა მაკლდა!). თვალებს ვხუჭავ – ლექტორის ხმა იავნანასავით ჩამესმის. ცოტაც და თავს „მორფის ალერსს“ მივცემ, მაგრამ ბარი მაფხიზლებს. კიდევ 2 საათი – ვეუბნები ჩემს თავს – კიდევ 2 საათი და თავქუდმოგლეჯილი გაიქცევი სახლში, შენს მიუდგომელ ციხესიმაგრეში, ყველასა და ყველაფრისგან შორს.

ამასობაში ძველი ბერძნულის ჯერიც მოდის. ვზივარ და სიკვდილმისჯილივით ჩემი ჩამოხრჩობის წამს ველოდები – წუთი-წუთზე შემოვა და დაიწყება. კარის სახელური დაბლა იწევა, შიში და პანიკა პიკს აღწევს, ეშაფოტზე ასასვლელად ვემზადები, საცაა სასოწარკვეთილებისგან ვიყვირებ და... ჩემი კურსელების მხიარული შეძახლები: „გვიცდება!“

გვიცდება! გვიცდება!“ ისე მეძინება, თავი სიზმარში მგონია. ტკბილი სიზმარი კია. აი, ამ წამს ვხვდები, რომ ყველაფერი კარგი ჩვენს ცხოვრებაში მოულოდნელად ხდება.

წვიმა. სახლისაკენ ჰერი-ჰერი. გზად „ბიბლუსია“. გუშინ ნანახი წიგნი მახსენდება. არა, როგორმე უნდა ჩავუარო, აუღელვებლად, მშვიდად და გულგრილად, თითქოს არც კი ვიცნობ, თითქოს ის ჩემთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს. მე ამას შევძლებ.

– „სკოლის სევდა“. „სკოლის სევდა“. „სკოლის სევდა“, – მიყვირის შესასვლელი კარი.

– ფული არ მაქვს! ფული არ მაქვს! ფული არ მაქვს!- ვპასუხობ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვის შედეგად მიღებული რკინასავით ცივი ხმით.

– კარგი რა! მე მაინც რას მატყუებ.

– არ შეიძლება! არ შეიძლება! მე არ...

ღიმილმიწვებულმა გოგომ წიგნი ცელოფნის პარკში ჩამიდო და გამომისტუმრა. ისევ წვიმს. „ბოლო-ბოლო, მე ხომ მომავალი მასწავლებელი ვარ (ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვგარაუდობ), ეს წიგნი კი მასწავლებელზეა. ჰო. ამ პროფესიის სირთულეებზე, ამოცანებზე. მჭირდება, აუცილებლად უნდა მეყიდა (ნაირნაირი თავისგამამართლებელი ქიპყელებით ცვდილობ პირდაფრენილი სინდისის ანკესზე წამოგებას).“

უზარმაზარი ქიქა ყავით პირთამდეა გავსებული. მართო ვარ. „მართო ვართ, მხოლოდ მე და შენ, გესმის?“- ეშმაკური ღიმილით ვიღებ 277-გვერდიან ნუგბარს.

ავტორი: დანიელ პენაკი- ფრანგი მწერალი,

ნოველისტი და, რაც მთავარია- წარმატებული მასწავლებელი.

„სკოლის სევდის“ მთავარი გმირი, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ოროსანია. დიახ, ჩამოყალიბებული ოროსანი. კიდევ უფრო გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ რომანი ავტობიოგრაფიულია, შესაბამისად, ეს წყალწალეხული უქნარა ბიჭი მომავალი მასწავლებელი და ლეგენდარული მწერალი – დანიელ პენაკი. დაუჭერებლად ჟღერს, არა? რავიცი, ასე წერია ანოტაციაში, ზუსტად ასე, სიტყვა-სიტყვით.

ბოლო დროს ასე გემრიელად აღარაფერი „შემისანსლავს“. პირდაპირ დაუღეჭავად ვუშვებ ასობით მსუყე სტრიქონს ჩემი მშვიერი გონების გაუმძღარ სტომაქში.

საოცარი სიცხადით აღუწერია პენაკს იმ პატარა ადამიანების ბედი, რომლებსაც ოროსნის იარლიყი და გარანტირებული უმომავლობა აქვთ მიწებებული. ვის გამოაქვს „სიცოცხლის გამამწარებელი“ მოსწავლეებისთვის გამამტყუნებელი განაჩენი? მათ მშობლებს, მეზობლებს, მასწავლებლებსა და სტერეოტიპების მთელ კასკადს. სამყარო ასეთების წინააღმდეგაა. მათაც ისღა დარჩენიათ, მაღლიერებით მიიღონ მინიჭებული სტატუსი, მთელი ცხოვრება სიფრთხილით ატარონ (არსად დაეკარგოთ) და საბოლოოდ უპერსპექტივო, წერა-კითხვის უცოდინარ, უუნარო, უგუნურ და განწირულ ბრბოდ ჩამოყალიბდნენ. დიახ, ესაა იდეალი, უზენაესი მიზანი, რომელსაც საზოგადოების ყველა ინსტიტუტი (განსაკუთრებით ოჯახი!) ხელს უწყობს და ეთაყვანება (სკოლასაც ნუ დავუკარგავთ

უდიდეს დამსახურებას ამ წმინდა საქმეში!).

ოროსანი – ეს ნიშნავს ყველასაგან გარიყულ, მომავლის არმქონე, ურთიერთობისთვის გამოუსადეგარ, მუდმივი წარუმატებლობისთვის განწირულ ადამიანს (თუ შეიძლება, იგი ამგვარად მოვიხსენიოთ). მისი ხვედრი მძიმეა: „წარუმატებლობა შეიძლება განკურნებადი იყოს, მაგრამ წარმოუდგენელია, მის მიერ დატოვებულმა ქრილობებმა ოდესმე ბოლომდე შეკრას პირი.“

მისი ბედი იმთავითვე განსაზღვრულია: „შენგან მაინც არაფერი გამოვა!“ „ერთი ამას დამიხედეთ, კიდევ რომ რამის იმედი აქვს!“ „ისედაც ვიცი, შენ ჩაიდენდი!“ „კარგად გიცნობ, შენ გარდა ამას ვერავინ გააკეთებდა!“ და მსგავსი და მსგავსი. ვინ მოსთვლის. ოროსანს არავინ ენდობა, მაშინაც კი, თუკი ის ცამდე მართალია (ისტორია იცნობს ასეთ უიშვიათეს შემთხვევებსაც).

ნეტავ, იცოდეთ, რა „შავბნელ სიამოვნებას“ იღებს ოროსანი მშობლისა და მასწავლებლის მდგომარეობიდან გამოყვანის მომენტში. ნეტავ, გაგაგონათ მისი ეშმაკური ხითხითი უფროსების ატეხილი წივილ-კივილის დროს. მას მხოლოდ ერთი რამ სურს – შეეშვან! მართო დატოვონ ცარიელ ოთახში, კომპიუტერის პირისპირ. ვიდეთ-თამაშებში გამართული ბრძოლის ველი ხომ ერთადერთი ადგილია, სადაც ის იმარჯვებს, სადაც დაუმარცხებელია. მაშ, აცადეთ ბედნიერება. ოროსანს ურჩევნია, გაქრეს ამ სამყაროდან, ვიდრე უფროსების გულისშემაწუხებელმა დიდაქტიკურმა ტონმა სმენის ორგანოები ოდნავ მაინც შეურხიოს.

ოროსნისა არავის სჭერა – ეს აქსიომაა. სკოლა მისთვის კარცერია. მასწავლებელიც ამჯობინებს,

ტყუილებში აჰყვებს ასეთს, ვიდრე, ზედმეტი ძალისხმევა გამოიჩინოს მის განსწავლასა და სწორ გზაზე დაყენებაში. „განა ამისთვის ვისწავლე ამდენი, რომ ასეთებს შევალიო დარჩენილი სიცოცხლე?!“ – პირდაპირ რკინის არგუმენტი, ვერაფერს იტყვი. მოკლედ, ჩვენი ძვირფასი ოროსანი მოსწავლედაც არ ითვლება, ფაქტობრივად, კლასის მოკრძალებული დეკორაციაა.

რა ძნელია, ასეთი ბავშვობა რომ გაქვს, არა? და რა რთულია მერე მისი გახსენება. მითუმეტეს მაშინ, როცა შენს საკუთარ, პირად წარუმატებლობასა და ტკივილებზე წერ. პენაკი ამას ახერხებს. იმასაც ცდილობს, საკუთარი ბავშვობის მძიმე გამოცდილება მომავალ პროფესიაში საწინააღმდეგო მიმართულებით გამოიყენოს – მოსწავლეების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს (პირველ რიგში, ოროსნებისა). რა არის ეს „უკეთესობა“? პასუხი მარტივია: რწმენა.

„ჩემი იწამეს! და მეც მაშინვე ვიწამე საკუთარი თავის!“ – დაჩაგრული სულის ეს გულწრფელი ამოძახილი მასწავლებლის ტრიუმფალური გამარჯვებაა.

დანიელი ის მასწავლებელია, რომელსაც სწამს საკუთარი მოსწავლეებისა. ის მასწავლებელია, რომელიც ანგრევს სტერეოტიპებს, მზამზარეულ მოცემულობებს: „ოჰ, ეს დაუძლეველი შიში ყოველივე იმისა, რაც ყალიბში არ ჯდება, რაც დადგენილს სცდება.“

ჭიქას დავწვდი, მაგრამ ყავა აღარ იყო. ე.ი უკვე ბოლოში გავსულვარ.

აი, 276-ე გვერდზე კი თითქოს მთელი ძალით სილა გამილაწუნეს, ნამძინარევს ცივი წყალი გადამასხეს, ერთი მაგრად შემანჯღრიეს, წიწაკით გალოკილი თითები თვალებში ამომისვეს და პირში მომახალეს: „თქვენ გევალებათ, იხსნათ ბავშვები, რომლებსაც თქვენთვის პირადად დახმარებისთვის არ მოუმართავთ! თქვენ მოგეთხოვებათ, ცოდნას ცოტა ინტუიციაც დაუმატოთ, რათა როგორმე გაიგოთ, თუ რას ნიშნავს უმეცრება, არცოდნა. წადით და შეეცადეთ, ანკესზე წამოაგოთ ოროსნები. აი, რა არის თქვენი საქმე! სულ ეს არის, რასაც თქვენგან ითხოვენ!“

ვზივარ და ვფიქრობ – ბავშვები მერცხლებს ჰგვანან. მერცხლებს, თბილი ქვეყნებისკენ რომ მიფრინავენ და გზად სკოლის მომცრო ფანჯრებში უნდა განვლონ. ფართოდ, ფართოდ გახსენით ყველა ფანჯარა! ყველა მათგანმა უნდა შეძლოს დანიშნულების ადგილამდე დაუბრკოლებლად მიფრენა. არ გაგიკვირდეთ, „მაინც გამოჩნდება ერთი-ორი გზაბნეული სულელი, ვიწრო ფანჯრებს რომ შეასკდება.“ აი, მაშინ კი თავს ნუ მიატრიალებთ, თითქოს ვერაფერი დაინახეთ – სასწრაფოდ ხელში აიყვანეთ დაშავებული „მერცხალი“ და ჭრილობა შეუხვიეთ. მოგიწევთ, ფრენა სულ თავიდან ასწავლოთ, მაგრამ განა სხვა რამეა თქვენი მოვალეობა?

ჩემს „უიღბლო“ დღეს კარები ცხვირწინ მივუჭახუნე, თვალები დავხუჭე, მაგრად ჩავითბუნე და გონებაში ჩემი მომავალი სკოლის კარი შევაღე. იქ ოროსანთა მთელი დაჯგუფება დამხვდა. გამეღიმა. „სკოლის სევდა? უბრალოდ გაბრუებული მერცხალი ცხოვრებისკენ უნდა შემოაბრუნო და მორჩა.“

მიშელ
უელბეკი
მორჩილება



მიშელ უელბეკი
მორჩილება

ფრანგულიდან თარგმნა

ეკატერინე სუმბათაშვილმა

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

მორჩილება, როგორც ერთადერთი გამოსავალი თამთა ჭრიკიშვილი



„ბერძნულ მითოლოგიაში კასანდრა მოიხსენიება, როგორც ლამაზი გოგონა, რომელიც აპოლონს შეუყვარდა და საჩუქრად წინასწარმეტყველების უნარი მიანიჭა. კასანდრამ საჩუქარი კი მიიღო, მაგრამ ღმერთს სასიყვარულო ურთიერთობაზე უარი უთხრა. განრისხებულმა აპოლონმა გოგონას მიახალა, რომ მის ნათქვამს ვერავინ ვერასოდეს გაიგებდა და დაიჭერებდა. კასანდრა ახდენილი პესიმისტური წინასწარმეტყველების ავტორია“.

ევროპისათვის უცხოა სეკულარიზმი, ისლამი აქ ძირითადი რელიგიაა. განათლება ყურანის პრინციპებზეა დაფუძნებული, ოჯახის ინსტიტუტი და პატრიარქატი კი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. პოლიგამია არათუ მისაღები, არამედ სამართლიანი პრინციპია ქალისა და მამაკაცის თანასწორობისათვის – ეს უელბეკისეული მომავლის ევროპაა, უახლოესი მომავლის ცივილიზებული საზოგადოება. მის მიერ მოდელირებულ სამყაროში „ევროპამ საკუთარი სუიციდი უკვე განახორციელა“.

„კასანდრას სინდრომი“ 21-ე საუკუნის ევროპაში ცოცხლდება, რომელსაც თვალწინ აქვს ყველა მოსალოდნელი საფრთხე, მაგრამ მაინც ჩვეული წესით განაგრძობს ცხოვრებას. ავისმომასწავლებელი ღრუბლები დიდი ხანია შეკრებილა კონტინენტის თავზე, თუმცა მათი დანახვა არავის სურს ან უბრალოდ არ ხედავს. რეალურად, ევროპული მომავალი შესაძლოა სხვადასხვა სცენარით განვითარდეს, თუმცა მიშელ უელბეკისათვის

აუცილებელი დასასრული თავისუფლების მოყვარული ცივილიზაციის ისლამისადმი მორჩილებაა.

ის, რაც ერთ დროს წარმოუდგენელი იყო, რეალობად იქცევა, „ევროპელ აბორიგენებს“ შთანთქმავს ისლამური კოლონიზაცია. ეს პროცესი კი დიდი ხნის დაწყებულია. უელბეკი გვაცნობს ევროპას, რომელიც დღესაც არსებობს, თუმცა გარკვეული დეტალები უმრავლესობისათვის შეუმჩნეველი რჩება. ისლამის მომძლავრება ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა, დაწყებული განათლებიდან დამთავრებული სამზარეულოთი – იუსმანის სპეციალისტი პროფესორი ყოველ საღამოს აზიური საკვების თანხლებით ატარებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ერთია – მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური ცვლილება წინასწარ საგრძნობია, მუსლიმური პროპაგანდა საზოგადოებაში ნერგავს აზრს, რომ „საგანგაშო არაფერია და, სიმართლე ითქვას, არც დიდ სიახლეს უნდა ველოდოთ“.

უელბეკის რომანის თითოეულ აბზაცში იგრძნობა ისლამური საფრთხე, რომლის შეუმჩნეველობაც სხვა არაფერია, თუ არა უსიტყვო მორჩილება. მართალია მომავლის ევროპა მწერლის მიერაა გამოგონილი, თუმცა აღწერილი მოვლენები დღევანდელი რეალობის ანალოგიურია, როდესაც პარიზისა თუ ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ ევროპა თითქოს ეჩვევა მუდმივი საფრთხის რეჟიმში ცხოვრებას. „ორი წლის წინ, როდესაც პირველი

შეიარაღებული დაპირისპირებები დაიწყო, მედიასაშუალებებმა შოკისმომგვრელი რეპორტაჟების სერია მოამზადეს, მაგრამ ახლა ამის შესახებ სულ უფრო ცოტას ლაპარაკობდნენ, ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ამბად იქცა“.

საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ძალებს იკრებს „მუსლიმური ძმობა“ და მისი კანდიდატი მუჰამად ბენ აბესი, რომელიც ანთისემიტიზმით გამოირჩევა. ამ პროცესებს არათუ ეწინააღმდეგებიან, არამედ მაჰმადიანების მხარდამჭერები თავად ფრანგი პოლიტიკოსები აღმოჩნდებიან. ჟურნალ „Journal des dix-neuviemistes“ ტრიმესტრული კოქტეილ – წვეულების დროს მოხდება პარიზში პირველი აფეთქება, თუმცა გამომხმაურება მინიმალურია. არჩევნების დღეს საარჩევნო ოლქებს არბევენ, ილუპებიან ადამიანები, მაგრამ არც ეს მოვლენებია ყურადსაღები ფართო საზოგადოებისათვის. ყოველივე ხომ დიდი პოლიტიკის ნაწილია, პოლიტიკის, რომელიც კულუარული შეთანხმებების საშუალებით წყვეტს საზოგადოების ბედს. საბოლოო შედეგი კი ასეთია – საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტი ხდება მუჰამად ბენ აბესი და ეს დასასრული არ არის. ევროპამ თავად მოაწერა თავისსავე განაჩენს ხელი.

ევროპის ისლამიზაციის პროცესი მიშელ უელბეკთან სამ ნაწილად არის წარმოდგენილი. პირველ ეტაპზე პროცესი თითქოს შეუმჩნეველია, თითქოს არაფერია უცნაური იმაში, რომ მომრავლდა აზიური

უბნები, ამომრჩეველთა შესამჩნევი რაოდენობა მხარს „ისლამურ საძმოს“ უჭერს. შემდეგ მოდის უშუალო მოქმედების ეტაპი – ისლამი შეტევაზე გადმოდის. მაჰმადიანობა წარმოდგება, როგორც ევროპის ჩიხიდან გამოყვანის საუკეთესო გზა, ამიტომ მომრავლდება მოსაზრებები, რომ „ისლამთან შეთანხმების დრო დადგა“, „არჩევნების მთავარი თემა ეკონომიკა კი არა, ღირებულებები იქნება“. საბოლოოდ კი ისლამური „ქეშმარიტება“ ცვლის ევროპულს.

„ბენ აბესის ნამდვილი ამბიციია ევროპის პირველი არჩეული პრეზიდენტი გახდეს – გაფართოებული ევროპის, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზის ქვეყნებსაც მოიცავს“.

თუკი შესაძლებელი იყო მომავლის შეუცდომელი წინასწარმეტყველება, ეს ალბათ უელბეკს გამოუვიდა კიდევ. თუ მის მოდელირებულ მომავალს მივყევით, ახლანდელი ევროპა ისლამიზაციისათვის მოსამზადებელ ეტაპს გადის – მუდმივი არეულობები, ტერაქტები, აღმოსავლეთიდან წამოსული მიგრანტების დიდი ნაკადი თუ ლონდონის ახლადარჩეული მუსლიმი მერი. ახალი ამბებიც გაჭერებულია ევროპასა და აღმოსავლეთს შორის არსებული ხილული თუ უხილავი კონფლიქტებით. „სიმძიმის ცენტრი ევროპიდან სამხრეთისაკენ ინაცვლებს“.

უელბეკი წარმოაჩენს, როგორ შეიძლება აღიქვამდეს ისლამი ევროპულ ცივილიზაციას, რომელიც ძირითადად ქრისტიანობასთან ასოცირდება. „მათთვის

კათოლიკები მორწმუნეები არიან, კათოლიციზმი წმინდა წიგნის რელიგიაა. საჭიროა მხოლოდ მათი დარწმუნება, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან და ისლამი მიიღონ: სწორედ ეს არის მუსლიმის მიერ დანახული რეალური ქრისტიანობა“.

„მორჩილების“ მკითხველის პირველი შთაბეჭდილება შეიძლება ასეთი იყოს – უელბეკი უფროთხის მომძლავრებულ აღმოსავლურ კულტურასა და ცივილიზაციას, ევროპას ისლამიზაციის მოსალოდნელი შედეგების შესახებ აფრთხილებს. თუმცა, რელიგიური კოლონიზაციის ადგილზე შესაძლოა ნებისმიერი რამ ყოფილიყო, რაც ევროპას გამოსავალს აპოვნინებდა. დღევანდელი დასავლური საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები, უელბეკისათვის ისლამით გადაწყვეტილი, მართლაც საჭიროებს გამოსავალს.

საზოგადოების ცხოვრებაში უდიდესი კრიზისი მაშინ დგება, როდესაც ძირეული ღირებულებების მნიშვნელობას ექმნება საფრთხე. უელბეკის ევროპაში არაერთი ფასეულობა დგას კითხვის ნიშნის ქვეშ და ეს სულაც არ არის დღევანდელ რეალობას მოწყვეტილი. სანაცვლოდ კი, ჩნდება ისლამური ფუნდამენტალიზმი, რომელიც ერთი ხელის მოსმით აგვარებს სიტუაციას და ამით ყველა კმაყოფილია.

ევროპული ოჯახი კრიზისს განიცდის. ქორწინებათა უმეტესობა განქორწინებით სრულდება, ნაგვიანევი ქორწინებების და არაფორმალური ურთიერთობების გამო

ბავშვთა რაოდენობა მცირეა, თავად ოჯახის შიგნით კავშირებიც თითქმის გაწყვეტილია. პროფესორ ტანეს ათეული წელია მშობლები არ უნახავს, დედის გარდაცვალების გაგონებისას მხოლოდ ის ფიქრი უჩნდება, ახლა ვინ მოუვლის დედამისის საყვარელ ძაღლს. ამ დროს ისლამი ამყარებს ოჯახის ინსტიტუტის სრულ პატივისცემას, განათლების სფეროდან გამოიდევნებიან ქალები, რითაც წყდება დემოგრაფიული პრობლემა. პოლიგამიურ ოჯახებში მათ ერთადერთ ფუნქციად შვილის გაჩენა და ქმრის მსახურებაა რჩება.

„იმიგრანტი მოსახლეობის მასობრივი მოძალება, რომელიც ჯერ კიდევ დაღდასმულია ბუნებრივი იერარქიებით, ქალის მორჩილებითა და მოხუცებულთა პატივისცემით გამსჭვალული ტრადიციული კულტურით, ისტორიულ შანსს წარმოადგენდა ევროპის მორალური და ოჯახური ცხოვრების რეანიმაციისათვის და ძველი კონტინენტის ახალი ოქროს ხანის პერსპექტივას ქმნიდა“.

კრიზისია განათლების სფეროშიც. სორბონის უნივერსიტეტში ბევრი ლექტორის პოლიტიკური შეხედულებების გამო აირჩევა (ირჩევენ პალესტინელ პროფესორს), ხშირია პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის ინტიმიური ურთიერთობები და რაც მთავარია, უნივერსიტეტს არც თუ ისე დიდი ფინანსები აქვს. ამ პრობლემასაც ისლამი აგვარებს – ყალიბდება პარიზი–სორბონის ისლამური უნივერსიტეტი, სადაც ქალები არც სწავლობენ და არც ასწავლიან, ფინანსები კი

დიდ ნაკადებად მოედინება აღმოსავლეთის ნავთობით მიდიდარი ქვეყნებიდან.

ასეა თუ ისე, ისლამი ცხოვრების ყველა სფეროს წესრიგს უზრუნველყოფს. ევროპელ ადამიანსაც, რომელსაც ქაოსური, ეკლექტური ღირებულებებით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა, მოსწონს სიმშვიდე და წინასწარგანსაზღვრული მომავალი. ეს ევროპის შანსია, დაიწყოს ახალი ცხოვრება ახალი წესებით. „დაახლოებით ისე, როგორც რამდენიმე წლის წინ მამაჩემის ცხოვრებაში მოხდა, მეც ახალი ცხოვრების დაწყების შანსი მომეცემოდა: ცხოვრების, რომელსაც წინანდელთან ბევრი არაფერი ექნებოდა საერთო და არც არაფერს ვინანებდი“.

ასეთი რადიკალური ცვლილებების მთავარი მიზეზი კი უელბეკისათვის არა ისლამი ან ნებისმიერი სხვა რელიგიაა, არამედ თავად ევროპის ახლანდელი მდგომარეობა, რომელიც ორი სიტყვით ასე შეიძლება დახასიათდეს – ღირებულებათა კრიზისი. ამიტომ მიშელ უელბეკი აფრხილებს ცივილიზებულ საზოგადოებას, რომ ფუნდამენტურ ფასეულობებზე იზრუნოს. სწორედ ეს ღირებულებები უნდა კრავდეს ერთ სახელმწიფოდ „ევროკავშირს“ და არა საერთო ეკონომიკა ან პოლიტიკური კურსი. თუკი არ განმტკიცდება ძირითად ფასეულობები, მაშინ ევროპად შეიძლება ნებისმიერი სახელმწიფო იწოდებოდეს, რომელთანაც მოლაპარაკება შედგება საერთო თანაცხოვრებაზე, იქნება ეს ეგვიპტე თუ ლიბია.

ნაწარმოებში კარგად ჩანს ის მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტული დამოკიდებულებები, რაც დღევანდელ ევროპაში თვალშისაცემია. თითოეული მხარის წარმომადგენელი, რეალურადაც, საკუთარი იდეოლოგიური მრწამსის მიხედვით განსაზღვრავს თითოეულ ნაბიჯს და ამ იდეოლოგიურ ჭიდილში უკანა პლანზე იწევს ღირებულებები, ძირითადი ადამიანური საჭიროებები და ფასეულობები. ამიტომაც, საზოგადოება ისლამს ანიჭებს უპირატესობას, რადგან ის მეტად უზრუნველყოფს სტაბილურობას და განსაზღვრავს ცხოვრების კონკრეტულ წესს. ისლამი თავად იქცევა პოლიტიკად.

„ყველაფერი კი ანტიისლამური პროვოკაციით დაიწყო: მეჩეთზე თავდასხმა; ქალი, რომელიც მუქარით აიძულებს ნიქაბი მოეხადო და რაღაც ამგვარი“. ევროპული ღირებულებების კრიზისიც შეიძლება იმით დასრულდეს, რის საწინააღმდეგოდაც დაიწყო. ეს არ არის მხოლოდ ისლამი, არამედ ნებისმიერი იდეოლოგია, რელიგია, მრწამსი თუ პოლიტიკური სისტემა, რომელსაც დღევანდელი ევროპის ქვეყნები აკრიტიკებენ და წინააღმდეგობას უწევენ. ფორმულა მარტივია, თუ არ განმტკიცდა ევროპელი ადამიანი თავის ძირითად ღირებულებათა სისტემაში, მისი ერთადერთი გამოსავალი მორჩილება იქნება, მორჩილებას კი ევროპელი ადამიანისათვის ღირებული გონი ვერ ეგუება.

თუმცა, უელბეკისეული ევროპის მომავალი

სწორედ მორჩილებაა, რადგან ისლამური
კოლონიზაციის შემდეგ „ადამიანური
ბედნიერების მწვერვალი აბსოლუტურ
მორჩილებაშია“.

